

მდ. სტორის აუზში გამოვლენილი ბაზალტური ლავების გეო-სტრატეგრაფიული პოზიცია და ახალი მონაცემები მათი, როგორც მოსაპირკეთებელი ქვის ნედლეულის დანაგროვების, პერსპექტიულობის შესახებ.

კარლო აქიმძე, მირიან მაქაძე
ელ-ფოსტა: karlo.aqimidze@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13

რეზიუმე

ალაზნის მარცხენა შენაკადი -მდ. სტორი, წარმოქმნის ღრმად ჩაჭრილ კანიონისებრ ხეობას, რომელიც მთელ სიმძლავრეზე კვეთს დაშესაბამისა აშიშვლებს, კავკასიონის სამხრეთი ფერდის ამგებ იურული ფიქლების სერიას.

ფიქლების სერია ამ რეგიონში წარმოქმნის სამხრეთით გადმოწეულ ანტიკლინურ სტრუქტურას, რომლის გული აგებულია ჰეტანჟ-სინემურული- კვარციანი, არკოზული, გრაუვაკ-არკოზული ქვიშაქვებით, რომლის ზედა ნაწილში ფიქსირდება აგრეთვე დაციტური შედგენილობის, ერთეული მეტრი სიმძლავრის დაციტური ლავური განფენები და მათი ტუფები. კომპლექსს განცდილი აქვს ძლიერი ჰიდროთერმულ- მეტასომატური მეტამორფიზმი და გადასულია მეორად კვარციტებსა, კვარც- სერიციტ პირიტთან და კვარც-ეპიდოტ-ქლორიტ-პირიტთან ფიქლებში. ეს კომპლექსი გეოლოგიურ ლიტერატურაში „სტორის წყების“ სახელწოდებითაა ცნობილი.

„სტორის წყებას“ ანტიკლინის ორივე ფრთაში სტრატეგრაფიულად ზემოთ მოყვება- ჯერ ადრეპლინსბახური ასპიდური ფიქლების, შემდეგ- გვიანპლინსბახური მონოტონური ფიქლების წყება. ანტიკლინური სტრუქტურის სამხრეთ ფრთაში (რომლის სქემატურ ლითო-სტრატეგრაფიულდახასიათებასაც ვაგრძელებთ), გვიანპლინსბახური და ადრეტუარსული მონოტონური ფიქლების საზღვარზეა გამოვლენილი ჩვენთვის საინტერესო ბაზალტური ლავური კომპლექსი. ადრეტუარსული ღრმა ზღვის ფიქლების წყება თანდითანობით გადადის რეგრესული ხასიათის- გვიან ტუარსულ საშუალო და სქელშრებრივი არკოზული და შერეული შედგენილობის ქვიშაქვიან ნალექებში. მას სამხრეთით, ჯერ აალენური და აალენ-ადრეპლინსური - ალევროპელიტური და წვრილ და საშუალომარცვლოვანი პოლიმიქტურინალექები მოყვება, რომელსაც რღვევით ემიჯნება ცარცული- კარბონატული (კირქვები, მერგელები) ნალექები, რომელიც ალაზნის დეპრესიაში გადადის.

აღნიშნული ბაზალტური ლავური კომპლექსი, როგორც მოსაპირკეთებელი ქვის შესაძლო ნედლეული, 2014 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, შესწავლილი იქნა ჩვენი დეპარტამენტის ჯგუფის მიერ (პროფესორი ბ.თუთბერიძე, ასოცირებული პროფესორი კ.აქიმძე, მაგისტრანტები- ა. სხილაძე, გ. ხაჭაპურიძე. თ. ჯგუშია) მდ. სტორის მარჯვენა ფერდსა და მისი მარჯვენა შენაკადის-სვიანას ხევის აუზში. დადგინდა, რომ ლავური კომპლექსი უკავშირდება ზედაპლინსბახ-ქვედატუარსული ასაკის, საერთოკავკასიური მიმართების სიღრმული რღვევის ზონას, რომელიც თითქმის 3კმ გაიდევენა; ზონის სიმძლავრე 300 მ.-აჭარბებს. მასში 10-45 მ. სიმძლავრის განფენები კულისისებურად ენაცვლებიან ერთმანეთს, ხოლო მათიჯამური სიმძლავრე 100 მ.-ზე მეტია. ამავე დროს, როგორც ფიზიკო-მექანიკური თვისებით, ისე დეკორატიული

მახასიათებლებით კომპლექსი სრულად აკმაყოფილებს საამშენებლო - მოსაპირკეთებელი და სანახელავონაწარმის დასამზადებელი ნედლეულისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

გასულ, 2015 წელს, ჯგუფმა შეცვლილი შემადგენლობით (ასოცირებული პროფესორი კ.აქიმიძე, მაგისტრანტი მ.მაქაძე) გააგრძელა კომპლექსის შესწავლა მდ. სტორის მარცხენა ფერდსა და მდ. ეშმაკის ხევის აუზში. მიუხედავად ცუდი გაშიშვლებულობისა (ტყის ზოლი) და უაღრესად რთული კანიონისებრი რელიეფისა, მაგმამატარებელი ზონა მიმართებაზე გაიდევნა 1.5 კმ. რაც შეეხება ზონაში ლავური განფენების განლაგებას, კომპლექსის ფიზიკო-მექანიკურ მთვისებებსა და დეკორატიულ მახასიათებლებს, ისინი აქაც შენარჩუნებულია, რასაც მოხსენებაში დეტალურად განვიხილავთ.